ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №895552

ნომერი: AR1152501

თარიღი : 06.08.2013

გაცემის თარიღი : 17.09.2013

გაცნობის თარიღი : 24.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღომის შემაერთებელი გზა , ავტომანქანების ბაზრობა , მოპირდაპირედ , (ნაკვეთი 1/56) ; ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე , ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე , ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ აბულაძე პ/ნ 01008021793
- თბილისი ნ.ცხვედაძის ქ. N 56

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განხილული იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2013 წლის 15 აგვისტოს #32 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, გლდანი–დიღმის შემაერთებელ გზაზე, ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ## 01.13.01.001.056, 01.13.01.001.059, 01.13.01.001.053) სატრანსპორტო ზონა 1–ის საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1–ით ცვლილებას ეთქვა უარი. თუმცა, თქვენი შეტყობინების საფუძველზე, აღნიშნული საკითხი ხელახლა იქნა განხილული ზემოაღნიშნული კომისიის 2013 წლის 12 აგვისტოს #36 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, გლდანი–დიღმის შემაერთებელ გზაზაე, ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ## 01.13.01.001.056, 01.13.01.001.059, 01.13.01.001.053) სატრანსპორტო ზონა 1–ის სარეკრეაციო ზონა 2–ით ცვლილებას მიეცა თანხმობა, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, კერძოდ, 6 მეტრიანი რეგულირების ხაზების დაცვით და სატრანსპორტო კვანძის გათვალისწინებით, რომელიც უნდა მოეწყოს ბელიაშვილის ქუჩასა და გლდანი–დიღმის შემაერთებელი გზის გადაკვეთაზე. შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებაც სამსახური გაცნობებთ დამატებით. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომების ოქმებიდან ამონარიდს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge